პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და სკკ სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 7 ივლისი, 1943 წ. № 144 (6769). ფასი 20 კაპ.

ფართოდ გამოვეხმაუროთ სუხორეჩიელ კოლმეურნეთა ინიციატივას

სანიმუშოდ მოწყობილი სკოლა, სუფთა და ლამაზად გაფორმებული ქოხ-სამკითხველო, ასევე ყოველმხრივ უზრუნველყოფილი სამკურნალო დაწესებულებები სოფლად საბჭოების აღმასკომებისა და კოლმეურნეობების, მთელი სოფლის მოსახლეობის სიამაყეს წარმოადგენენ. სკოლაში გლეხებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაოთა ბავშვები სწავლობენ, ქოხ-სამკითხველო თავისუფალ დროს წიგნებისა და გაზეთების კითხვის, მასობრივი მუშაობის საუკეთესო ადგილია, სამკურნალო დაწესებულებები—საავადმყოფოები და ამბულატორიები მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან. ამიტომ არის, რომ სოფლის საბჭო, თვით კოლმეურნეობები მზრუნველობას იჩენენ სკოლების, ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების სამკურნალო დაწესებულებებისათვის, ზრუნავენ მათი შენობებისა და ინვენტარის რემონტისათვის, ამარაგებენ შეშით, ყველა პირობას უქმნიან ნაყოფიერი, სასარგებლო მუშაობისათვის. საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ სოფლად მძლავრი კულტურული აღმავლობა გამოიწვია. მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ამ მხრივ უდიდესი მიღწევები იქნა მოპოვებული.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად დიდი სამამულო ომის ვითარებაში გარკვეული სიძნელენი წარმოიშვა სოფლსაბჭოებისა და კოლმეურნეობების წინაშე, ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე. მაგრამ დაბრკოლებების გადალახვა ყოველთვის შეიძლება, თუ უნარიანად და მოხერხებულად გამოვიყენებთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებას, უფრო მჭიდროდ დავრაზმავთ მასებს ზურგის საბრძოლო ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად. სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითობა, მათი ოპერატიული, მოქნილი მუშაობა სულ ადვილად შეიძლება დავინახოთ მთელი სოფლის ცხოვრების მაგალითზე. იქ, სადაც ყველაფერი წესრიგშია, საქმე წინ მიდის, ვეგმები სრულდება და ასევე კარგ მდგომარეობაშია სოფლის დაწესებულებები—ეს ყველაზე უფრო საუკეთესო მაჩვენებელია ამ ორგანიზაციების წარმატებითი მუშაობისა. სოფლის კარგი მდგომარეობა სოფლის საბჭოს კარგი მუშაობის სარკეს წარმოადგენს. ამ მხრივ ბევრი რამ არის დამოკიდებული სოფლის საბჭოსა და თვით კოლმეურნეების ინიციატივაზე.

ასეთი მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინეს, მაგალითად, ბუზულუკის რაიონის სუხორეჩიეს სოფლის საბჭოს კოლმეურნეებმა, რომლებმაც წერილით მიმართეს ჩკალოვის ოლქის ყველა კოლმეურნეს. თავიანთ მიმართვაში სუხორეჩიელი კოლმეურნეები სწერენ: „ჩვენი სოფლსაბჭოს კოლმეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს საგაზაფხულო თესვა, გააჩაღეს ნათესების მოვლა, იბრძვიან უხვი მოსავლისათვის, იმისათვის, რომ წითელი არმია, ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილ იქნან სოფლის მეურნეობის პროდუქტებით. უხვი მოსავლისათვის მზრუნველობასთან ერთად ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას, კარგად მოვამზადოთ ზამთრისათვის სკოლები, კლუბები და სამკურნალო დაწესებულებები“. ამ ვალდებულებებს სუხორეჩიეს სოფლის საბჭოს კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ. მათ უკვე დაამზადეს ასობით კუბმეტრი შეშა. სუხორეჩიელ კოლმეურნეთა ამ ინიციატივას ფართოდ უნდა გამოეხმაუროს საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობები. სოფლის საბჭოებმა კი ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი მის განხორციელებას.

1942-1943 სასწავლო წლისათვის ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონები კარგად მოემზადნენ. შეკეთებულ იქნა სასკოლო შენობები, ინვენტარი, დროზე მოიმარაგეს შეშა, შეიძინეს ახალი მერხები, მაგიდები. მაგრამ ზოგიერთ რაიონში, როგორც, მაგალითად, ჩხოროწყუსა და კასპის რაიონებში, თანხებიც კი ვერ იქნა ათვისებული სასკოლო შენობების შესაკეთებლად. ბმის გამო, რომ თავის დროზე არ იქნა სათანადო ზომები მიღებული, ცხაკაიას, ბორჩალოს, სამტრედიისა და გურჯაანის რაიონებში მთელი რიგი სკოლები ზამთრისათვის შეშით მოუმარაგებელნი დარჩნენ.

რა არის საჭირო ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად?

სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ სკოლების, ქოხ-სამკითხველოების, საავადმყოფოების შეშით მომარაგებისათვის შემოდგომაზე კი არ უნდა დაიწყოს ზრუნვა, როცა მოსავლის ასაღები სამუშაოებია გაჩაღებული საკოლმეურნეო მინდვრებზე, მუშახელი და ტრანსპორტი მთლიანად ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი საქმით არის გართული, არამედ ისეთ პერიოდში, როცა მუშახელიც და ტრანსპორტიც შედარებით თავისუფალია. აქედანვე უნდა მოვემარაგოთ საობი ზამთრისათვის. აქედანვე უნდა შეეკეთოთ სასკოლო შენობები, ავეჯი, გამოვნახოთ გზები და საშუალებები ამ საქმის წარმატებით ჩასატარებლად. ეს გზები უნდა გამონახონ სოფლის საბჭოების, აღმასკომებისა და კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებმა, ბრიგადირებმა. ამ საქმეში ფართოდ უნდა ჩავაბათ დეპუტატები, რომლებსაც ამომრჩეველთა მტკიცე განაწესი აქვთ მიცემული—ბოლომდე გაამართლონ ხალხის ნდობა, ემსახურონ ხალხს, დაიცვან მისი ინტერესები.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად დაიწყეს მზადება თეთრი წყაროს, მახარაძის, გორის რაიონებმა. თეთრი წყაროს რაიონში სკოლები ზამთრისათვის შეშით ძირითადად უკვე მომარაგებული არიან. სოფლსაბჭოებში შედგენილია სასწავლო წლისათვის მზადების კონკრეტული გეგმები. მაგრამ ყველგან როდია ასეთი მდგომარეობა. ამოცანა ის არის, მთელი მუშაობა სკოლების, ქოხ-სამკითხველოების, საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველსაყოფად ზამთარში ნორმალური საქმიანობისათვის ისე ჩავატაროთ, რომ ამან ოდნავაც არ შეაფერხოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ეს შეუძლიათ და კიდევაც უნდა გააკეთონ სოფლის საბჭოების აღმასკომებმა და კოლმეურნეობების გამგეობებმა. საამისოდ ყველა პირობა და საშუალება მოიპოვება, თუ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით.

ფართოდ გამოვეხმაუროთ სუხორეჩიელ კოლმეურნეთა ინიციატივას!

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ ულოცავს ბურიატ-მონღოლეთის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და ყველა მშრომელს ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 20 წლისთავს.

ბურიატ-მონღოლი ხალხი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად გულმკერდით დადგა ჰიტლერელი ყაჩაღებისაგან თავისი სამშობლოს დასაცავად, საბჭოთა ხალხების ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ბურიატ-მონღოლეთის მშრომელნი—კაცები და ქალები—რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან, ამიერ-კავკასიის, შუა აზიის რესპუბლიკების ხალხებთან და ყველა საბჭოთა ხალხებთან ერთად მხარდამხარ იბრძვიან ფრონტზე სიცოცხლის დაუზოგავად, შეუსვენებლად მუშაობენ ზურგში და ყოველმხრივ უწყობენ ხელს ცბიერ მტერზე გამარჯვებას.

დაე, ვერაგ მტერთან სასტიკ ბრძოლაში გაიზარდოს და განმტკიცდეს საბჭოთა ხალხების დიადი მეგობრობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ სსრ კავშირის მშრომელნი სსრ კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, ბურიატ-მონღოლეთის მშრომელნი სსრ კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ასევე თავდადებით აწარმოებენ ბრძოლას საბჭოთა მიწა-წყლიდან ფაშისტ დამპყრობთა განდევნის დასაჩქარებლად, მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

შრომითი რეზერვების კულტურის სახლები

შრომითი რეზერვების მთავარმა სამმართველომ გადასწყვიტა კულტურის სახლები მოაწყოს ჩვენი ქვეყნის 16 უდიდეს ქალაქში სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთათვის. კულტურის სახლებში მოეწყობა მაყურებელთა დარბაზები სასცენო მოედნებით, საწარმოო კაბინეტები, ტექნიკური სადგურები, იმუშავებენ ბიბლიოთეკები და მხატვრული თვითმოქმედების წრეები. (საკდესი).

მეშახტეები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს

ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის დასავლეთის შახტებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა ტყვარჩელელ მაღაროელთა გამოწვევამ. უბნებსა და ცვლებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. შახტის მრავალი წარჩინებული ადამიანი მიწის შავ წიაღში თავდადებით მუშაობს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ამოღებისათვის.

იენისში კარგად იმუშავა პირველმა უბანმა (უფროსი ამხ. ზოთაძე), რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ტყვარჩელ-ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ძველესე უბანთან. აღებული ვალდებულების თანახმად უბანს იენისის გეგმა 26 რაცხვისათვის უნდა შეესრულებინა, ფაქტიურად ეს ვალდებულება ერთი დღით ადრე იქნა გადაჭრილი. დარჩენილ დღეებში ამოღებული ასეულ ტონობით ქვანახშირიდან 500 ტონა შეტანილ იქნება გმირული სტალინგრადის დახმარების ფონდში.

მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებელს მიაღწია მბგრეველმა თ. ნიკიტინმა, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებს. მას არ ჩამორჩებიან: ლენინის ორდენოსანი ცქიფურიშვილი, მედალოსანი ტრუფანოვი, მტვირთავები: კაციტაძე, სოფრომაძე, ლაფერაძე, გოჩელაშვილი და სხვ.

ამრიგად, ტყვარჩელელი ამხანაგებისათვის პირველი უბნის კოლექტივის მიერ მიცემული პირობა, რომელიც ივნისს შეეხებოდა, შესრულებულია.

ინჟ. დ. დოლბოლრაზინიძე

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
6 ივლისის დილის ცნობა

5 ივლისის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **ორიოლ-კურსკისა** და **ბელგოროდის** მიმართულებებით. ფრონტის დანარჩენ უბნებზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების გაძლიერებულ იერიშებს იგერიებდნენ. ერთ უბანზე გერმანელთა 100 ტანკმა ჩვენი თავდაცვის წინა კიდე გადმოლახა. ჩვენმა ნაწილებმა მოჰკვეთეს და თავდაცვის წინა კიდეს აქეთ არ გამოუშვეს მტრის ქვეითი ჯარი, რომელიც ტანკებს მოჰყვებოდა. თავდაცვის სიღრმეში საბჭოთა არტილერისტები მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ ტანკებს და მოწინააღმდეგის 38 მანქანა დააზიანეს. გერმანელთა დანარჩენმა ტანკებმა უკან დაიხიეს. სულ ამ უბანზე მარტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მოწინააღმდეგის 50-მდე ტანკი, მათ შორის „ტიგრ“ ტიპის („ვეფხი“) 10 მძიმე ტანკი. სხვა უბანზე ქვეგანაყოფებმა ამხ. სიგინის, სობოლევისა და ზენკოვის მეთაურობით მტრის 17 ტანკი დაზიანეს და დასწვეს. არასრული ცნობებით, გაჟლეტილია 4.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლები გრძელდება.

* * *

ბელგოროდის რაიონში ჩვენი ჯარები შეუპოვარ თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან, რომელიც შემოტევას განაგრძობდა. გერმანელებმა ვიწრო უბანზე ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდი ნაწილები დააგროვეს და ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ წამოიყვანეს. საბჭოთა მებრძოლებმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს. მარტო 6 შენაერთის უბანზე მოსპობილია 2.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაზიანებული და დამწვარია მტრის 85 ტანკი. სხვა უბანზე გერმანელებმა ჩვენი ქვეგანაყოფები შეავიწროეს და ორი დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ჩვენმა მებრძოლებმა კონტრდარტყმით განდევნეს მტერი ამ დასახლებული პუნქტებიდან. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ასობით გვამები.

* * *

მცენსკის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა ერთ უბანზე ორ პოლკამდე ქვეითი ჯარის ძალებით სცადეს იერიშებს მოეტანათ ჩვენს პოზიციებზე. დიდი მნიშვნელობის მქონე მაღლობის რაიონში მოწინააღმდეგემ თავდასაცავად შესძლო დაეკავებინა რამდენიმე სანგარი. დღის დამლევისათვის ჩვენი ნაწილების კონტრდარტყმით ჰიტლერელები უკუგდებულ იქნენ და მდგომარეობა სავსებით აღდგენილია. ბრძოლის შედეგად მოსპობილია 600-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

დასავლეთის ფრონტზე არტილერიისა და თოფ-ტყვიამფრქვევის კანტიკუნტი სროლა იყო ორივე მხრივ. ჩვენმა ნაწილებმა ჰიტლერელთა ერთ ასეულამდე ჯარი გაჟლეტეს. მტრის საარტილერიო ბატარეა და 10 ატყვიამფრქვევი წერტი მოსპეს. მტრის ქვეითი ჯარის პატარა ჯგუფებმა სცადეს დაეზვერათ ჩვენი თავდაცვის წინა კიდე. გერმანელი მზვერავები თავის დროზე შეამჩნიეს და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაფანტეს ჩვენმა ქვეგანაყოფებმა.

* * *

კარელიის ფრონტზე იმ ნაწილის ქვეგანაყოფმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. მაკაროვი, იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის ორ დასაყრდენ პუნქტზე, რომლებსაც მტერი საფიცრული გამოხდომათა ბაზად იყენებდა. ჩვენი მებრძოლები მოულოდნელად დაესხნენ თავს თეთრფინელებს. ერთი დასაყრდენი პუნქტის გარნიზონი გაიქცა-გამოიქცა. მეორე დასაყრდენი პუნქტის გარნიზონმა სცადა წინააღმდეგობა გაეწია, მაგრამ განადგურებულ იქნა. მოწინააღმდეგემ 260 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მოკლულთა და დაჭრილთა სახით. დანგრეულია 9 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 30 მიწური, სიმაგრეებად გადაქცეული 8 სახლი და 7 საწყობი. წამოღებულია 3 ნაღმსატყორცნი, 3 რადიოსადგური, შაშხანები და ავტომატები.

* * *

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ბრძოლა გაუმართა გერმანელთა ქვეგანაყოფს. პარტიზანებმა ჰიტლერელთა შემოტარეს და მდინარესთან მიიმწყვდიეს. გერმანელებს, რომლებმაც სცადეს გაღმა გასულიყვნენ, თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლი ღაუშინეს. მდინარის ნაპირს რამდენიმე ათეული მოკლული და დაჭრილი ჰიტლერელი დარჩა. გარდა ამისა, ბევრი გერმანელი მდინარეში დაიხრჩო. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 3 ნაღმსატყორცნი, ავტომატები, შაშხანები და საომარი მასალა.

* * *

გერმანელთა გაზეთმა, რომელიც ბარანოვიჩში გამოდის, 30 ივნისს საგულისხმო სტატია დაბეჭდა. ამ სტატიაში სწერია, რომ გერმანელმა ხელისუფლებმა 22 ივნისს მინსკის საქალაქო თეატრში ომის ორი წლისთავისადმი მიძღვნილი კრება მოაწყეს. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ამ კრების დროს თეატრში აფეთქება მოხდა. სტატიაში ნათქვამია, რომ მოკლული და დაჭრილია 100-ზე მეტი ჰიტლერელი. მაგრამ ამ სტატიის ისტორიული კილო მოწმობს, რომ გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა მინსკის საქალაქო თეატრში მომხდარი აფეთქების დროს უფრო სერიოზული ზარალი ნახეს.

6 ივლისის ოპერაციული ცნობა

6 ივლისის განმავლობაში ორიოლ-კურსკის და ბელგოროდის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მედგარ ბრძოლებს მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის დიდ ძალებთან. მტრის შემოტევას ეხმარებოდა დიდძალი ავიაცია.

ორიოლ-კურსკის მიმართულებით მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით.

ბელგოროდის მიმართულებით, დიდი ზარალის ფასად, მოწინააღმდეგემ შესძლო უმნიშვნელოდ წამოიწია წინ ცალკეულ უბნებზე.

არასრული ცნობებით, ჩვენი ჯარების მიერ ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 433 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის მიერ ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 111 თვითმფრინავი. ტყვედ წამოყვანილია გერმანელთა 22 მფრინავი.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით 6 შენაერთის მებრძოლები მეორე დღეა იგერიებენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარების განუწყვეტელ იერიშებს და მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ პოზიციებს. ფრონტის იმ უბანზე, რომელიც ამ ქვეგანაყოფს უჭირავს, გერმანელებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ 400-მდე ტანკი გამოიყვანეს ბრძოლაში. ბრძოლის მსვლელობაში ჩვენმა არტილერისტებმა, ქვეითებმა და ჯავშანმტვრეველებმა დაზიანეს და მოსპეს მტრის 110 ტანკი და გაჟლიტეს 3.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ორიოლ-კურსკის მიმართულების სხვა უბნებზე აგრეთვე უნაყოფო აღმოჩნდა გერმანელთა ყველა ცდა გამოჭრილიყვნენ საბჭოთა თავდაცვის წინა კიდეს აქეთ.

საბჭოთა მებრძოლები და მეთაურები უდიდეს მედგრობას და ვაჟკაცობას იჩენენ მტერთან ბრძოლაში. ლეიტენანტმა მაკლინმა ტანკსაწინააღმდეგო თოფით დასწვა გერმანელთა 4 ტანკი. ჯავშანმტვრეველმა სერჟანტმა ლოზოვოიმ მოსპო 2 ტანკი, წითელარმიელმა გუსეინმა ტანკსაწინააღმდეგო გრანატით ააფეთქა მოწინააღმდეგის მძიმე ტანკი.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით გერმანელებმა დილიდანვე განაახლეს საბჭოთა პოზიციებზე იერიშების მოტანა. ჩვენი ჯარები ყველა სახის იარაღის მძლავრი ცეცხლით შეხვდნენ მოწინააღმდეგეს და უკუაგდეს იგი პირველ პოზიციებზე. დღის მეორე ნახევრის განმავლობაში მოწინააღმდეგემ თავი მოიყარა დიდძალ ტანკებს და ყველა გადმოვიდა შეტევაზე. ამ ბრძოლაში გერმანელებმა 100-ზე მეტი ტანკი დაკარგეს. ერთ ადგილას ჰიტლერელებმა დიდი ზარალის ფასად შესძლეს 2 დასახლებული პუნქტის დაკავება. მტრის შემდგომი წინწამოწევა, მიუხედავად ძის მიერ მოტანილი ყველა იერიშებისა, შეჩერებულია. ფრონტის ყველა უბანზე დღეგანდელი დღის ბოლოს გრძელდება გაფფრებული ბრძოლები, რომელთა მსვლელობაში მოწინააღმდეგის სატანკო ნაწილები და ქვეითი ჯარი დიდად ზარალდება.

* * *

დასავლეთის ფრონტზე აქტიურად მოქმედებდნენ ორივე მხარის სადაზვერვო ჯგუფები. ერთ უბანზე ჩვენმა სადაზვერვო რაზმმა მავთულღობურები გადალახა და მტრის თავდაცვის განლაგებაში შეიჭრა. გაჩაღებულ ხელჩართულ ბრძოლაში მზვერავებმა მოსპეს ჰიტლერელთა ჯგუფი და ხელთ იგდეს ტყვეები. სხვა უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ცდილობდა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. მოწინააღმდეგის რაზმმა, რომელსაც ტყვიამფრქვევის ცეცხლითა და თოფის ზალპებით მეხვდნენ, უწესრიგოდ დაიხია.

საბჭოთა ავიაციის დარტყმები მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებაზე

5 ივლისს ღამით ჩვენი შორმოქმედი თვითმფრინავების დიდი ჯგუფი თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის ჯარებსა და ტექნიკას ორიოლ-კურსკისა და ბელგოროდის მიმართულებებით. საბჭოთა მფრინავებმა დიდძალი ბომბი დააყარეს გერმანელთა დაჯგუფებულ ჯარებს. დაბომბვის შედეგად განადგურებული და დაზიანებულია მრავალი ტანკი, ავტომანქანა, საარტილერიო ბატარეა, აფეთქებულია საომარ მასალათა რამდენიმე საწყობი და მნიშვნელოვნად დაზარალებულია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა. ჩვენი ორი თვითმფრინავი არ დაბრუნებულა საბრძოლო დავალებიდან.

მხარჯრული თვითმოქმედების სრულიად-საკავშირო დათვალიერება

ამჟამად მხატვრული თვითმოქმედების ათასობით კოლექტივი ემზადება სრულიად-საკავშირო დათვალიერებისათვის, რასაც აწყობს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭო ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან ერთად.

მოსკოვის 100-ზე მეტმა გამოჩენილმა ხელოვნებმა მოღვაწემ მხატვრული თვითმოქმედების წრეების შეფობა იკისრა. უახლოეს დღეებში რადიოთი გამოვლენ სტალინური პრემიის ლაურეატები ი. მ. მოსკვინი, ა. ვ. ალექსანდროვი, ვ. გ. ზახაროვი და იგორ მოისეევი, ლენინური კომკავშირის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ა. ნ. ბერსენევი და სხვანი.

მოსკოვის სათეატრო სასწავლებელთა სტუდენტების დიდი ჯგუფი იგზავნება ვორონეჟში, კურსკში, დონის როსტოვსა და სტალინგრადში მხატვრული თვითმოქმედების წრეებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

დათვალიერება დაიწყება 15 ივლისს, ხოლო მოსკოვში—ცოტა უფრო გვიან. დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებს 10.000-ზე მეტი წრე. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირი სერჟანტი ნ. ი. გოგიჩაიშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი მეგყვიამფრქვევე ნ. ი. გოგიჩაიშვილი

(„კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

საქართველოს მშრომელნი უსაზღვრო სიხარულით შეხვდებიან ცნობას მამაცი ქართველი მეტყვიამფრქვევის ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგიჩაიშვილისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა, დიდი საბჭოთა ქვეყნის ღირსეულმა მოქალაქემ ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიჩინა არაჩვეულებრივი გამძლეობა, სიმამაცე და თავგანწირულება, რისთვისაც მან დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ცხარე ბრძოლები გაიმართა, რაც ოთხ დღე-ღამეს გრძელდებოდა. უსახელო გორაკი, რომელიც მძაფრი ბრძოლების ცენტრში იყო მოქცეული, ხელიდან ხელში გადადიოდა. აი აქ შეიჭრა სერჟანტ გოგიჩაიშვილის ათეული. მებრძოლებმა გორაკზე გამართეს დაზგის ტყვიამფრქვევი.

გერმანელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ, მდგომარეობა სახიფათო შეიქნა. ცეცხლის წვიმა მოდიოდა ჰაერიდან. მსხვილყალიბიანი ნაღმსატყორცნების და ქვემეხების ყუმბარები სკდებოდა ირგვლივ, ყველაფერი ცეცხლის კვამლში გაეხვია. გოგიჩაიშვილი რამდენიმე მებრძოლი დაეცა გმირის სიკვდილით. მოწინააღმდეგის წინა რიგები ჩვენს თავდაცვაში შემოიჭრნენ. გოგიჩაიშვილმა მაინც არ დასთმო თავისი პოზიცია.

— ვიდგეთ სიკვდილამდე!—წარმოსთქვა ამ მრისხანე მომენტში სერჟანტმა გოგიჩაიშვილმა. მებრძოლებმა ერთგულება შეჰფიცეს და მეთაურს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ბრძოლა აღუთქვეს.

ოთხმა მეტყვიამფრქვევემ, ქართველი ხალხის ოთხმა ერთგულმა შვილმა ჰიტლერელებს გრიგალისებური ცეცხლი დაატეხა. ბერიშვილი და ქადაგიშვილი ავსებდნენ ტყვიამფრქვევის ლენტებს, პატლაძე აწოდებდა მათ მეთაურს, ხოლო გოგიჩაიშვილი აწარმოებდა განუწყვეტელ გამანადგურებელ სროლას. გოგიჩაიშვილისაკენ მოდავალ მტრის ჯარისკაცებს თავზარი დაეცათ, ისინი ამ ადგილს წინა რიგების მიერ უკვე გავლილად სთვლიდნენ და გორაკს დაპყრობილად. როცა მტერი გონს მოვიდა, მან გადასწყვიტა სამი მხრიდან შემორტყმოდა გორაკს და გაენადგურებინა გოგიჩაიშვილის საცეცხლე პოზიცია. გოგიჩაიშვილმა პოზიცია გამოიცვალა და ერთიმეორეზე იგერიებდა მტრის იერიშებს. ბერიშვილი და ქადაგიშვილი ავტომატების შიბრჯენ სროლით ანადგურებდნენ ჰიტლერელებს.

ექვს საათს იცავდნენ გმირები საბჭოთა გორაკს. ვაზნები ელეოდათ. გოგიჩაიშვილი თავით მიეყრდნო „მაქსიმის“ სახელურს და უცბად გაახსენდა სათადარიგო ლენტი.

— სიმონ, ჩანთაში ვაზნებიანი ლენტი მაქვს. მომაწოდე ჩქარა.

ქადაგიშვილმა ლენტი მიაწოდა, და დროულადაც. გერმანელებმა კვლავ მოიტანეს იერიში. გოგიჩაიშვილმა ზუსტი ჯერები შეაგება და უკუაგდო ისინი. გმირმა მეტყვიამფრქვევემ 15.000 ვაზნა გაისროლა, 100-მდე ჰიტლერელი გაჟლიტა და არ მისცა საშუალება მტერს დახმარება გაეწია წინ წამოწეული თავიანთი ჯარისკაცებისათვის. უკანასკნელად სინჯა მტერმა კონტრიერიშზე გადმოსვლა, მაგრამ ამაოდ. ამ დროს ერთი ჩვენი ბატალიონი კონტრშეტევაზე გადავიდა და მტერი უკუაქცია. როცა გაწმენდილ იქნა მტრის მიერ დაკავებული ადგილები, ჩვენმა მებრძოლებმა ნახეს ტყვიამფრქვევთან მიმჯდარი გოგიჩაიშვილი, რომელიც მცირე ჯერებით ესროდა უკან დახეულ მტერს...

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სერჟანტ ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგიჩაიშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ამ დღეებში ნ შენაერთის სამხედრო საბჭომ სპეციალურად გამართულ მიტინგზე სახელოვან მებრძოლს გადასცა უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

* * *

ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგიჩაიშვილი დაიბადა 1903 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 9 წლის ნიკოლოზი მიაბარეს ადგილობრივი სოფლის სკოლაში. 13 წლამდე სწავლობდა იგი აქ, მაგრამ შემდეგ ოჯახის ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა და მუშაობა დაიწყო სოფლის მეურნეობაში. 1930 წელს სოფელ ნიგვზიანში ნიკოლოზის ინიციატივით დაარსებულ იქნა კოლმეურნეობა და როგორც კი სოფლად პირველი ტრაქტორი აგუგუნდა, ნიკოლოზმა გადასწყვიტა ტრაქტორისტი გამხდარიყო. მან გაიარა ორთვიანი კურსები და ტრაქტორისტი გახდა. იგი განუწყვეტლივ მუშაობდა ტრაქტორისტად 1941 წლის აგვისტომდე—წითელარმიაში გაწვევამდე.

აქტიური კომუნისტი ნიკოლოზ გოგიჩაიშვილი საუკეთესო ტრაქტორისტად ითვლებოდა. სეზონის 3 თვეში იგი 700-800 შრომადღეს იმუშავებდა. როგორც საუკეთესო ტრაქტორისტი, იგი წაყენებულ იქნა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატად.

ნიკოლოზის შვილი დათიკო ამჟამად სამამულო ომის ფრონტზე იბრძვის გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ.

კაპიტანი ვ. ესაიაშვილი

საბჭოთა კავშირში

ინჟინერმა ვ. ი. ჟელტუხინმა გააკეთა ახალი მანქანა, რომელიც მნიშვნელოვნად აჩქარებს ნახშირის საბადოებში ჰოსამზადებელ განთხრათა კეთებას.

ბარბომენკოს სახელობის ქარხანა შეუდგა ამ მანქანის სამრეწველო სახით გამოშვებას.

* * *

ყირგიზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ხალხური ლირიკული სიმღერებისა და მელოდიების ჯიბის კრებული ფრონტელთათვის. ტირაჟის მნიშვნელოვანი ნაწილი ფრონტზეა გაგზავნილი.

* * *

გამოშვებულია საფოსტო მარკების ახალი სერია, მიძღვნილი ა. ს. გორკისადმი. მარკებზე არის დიდი მწერლის მხატვრულად შესრულებული პორტრეტი და ქარხნახალას გამოსახულება. მარკები ექვსფაიანი და სამფაიანია.

ყირიმის ოლქის კოტოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კარასნი ჰახარში“ გახსნილია სამამული ომის ინვალიდთა სახლი. იქ ცხოვრობს 16 ყოფილი ფრონტელი, რომელთა ზეზმლიური ადგილებიც დროებით არის ოკუპირებული გერმანელებისაგან. ინვალიდთა სახლის მთელი ხარჯი კო

ორიოლ-კურსკის მიმართულებით

მოსკოვი არმია, 5 ივლისი (ტელეგრაფით ჩვენი კორ.) დღეს დილიდან ჩვენი ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწევიან მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდ ძალებთან, რომლებიც შეტევაზე გადმოვიდნენ ორიოლ-კურსკის მიმართულებით. შეტევას წინ უძღოდა ძლიერი საartილერიო მომზადება. 4 საათსა და 30 წუთზე მტრის შორმსროლელმა ქვემეხებმა, ავრეთვე წინა კიდეზე წამოწეულმა ქვემეხებმა დაუშინეს ჩვენს სანგრებსა და საცეცხლე პოზიციებს. ჭტერი მიისწრაფოდა თავისი იერიშის დასაწყისისათვის ჩაეხშო ჩვენი ნაწილების ცეცხლოვანი წინააღმდეგობა. ამავე დროს ჩვენი პოზიციების თავზე გამოჩნდა მტრის დიდძალი თვითმფრინავები. გერმანელები ვარაუდობდნენ, რომ ყველა თავისი საცეცხლე საშუალებებისა და ავიაციის უეცარი მასირებული დარტყმით ისინი შესძლებდნენ ჩვენს მოწინავე კიდესთან შეუფერხებლად მოახლოებას.

გაჩაღდა ცხარე ბრძოლები. დაიწყო კონტრსაბატარიო ბრძოლა, რომლის შედეგად ცხინშველოვანი რაოდენობით მოსპობილ იქნა მტრის ბატარიები.

გერმანელებმა, ვერც ცეცხლის განგებ გადატან-გადმოტანით მოახერხეს ჩვენი ნაწილების შეცდომაში შეყვანა. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა თავი შეაფარა ბლინდაჟებსა და ხვრელებს, ხოლო როდესაც მტერმა ნამდვილად დაიწყო იერიში, მაშინ დაიკავა თავისი ადგილები მეთვალთვალეთა სიგნალის მიხედვით.

მტრის პირველი იერიში მოხდა დილით ადრე, 6 ნაწილის უბანზე. იერიში სწარმოებდა ქვეითი ჯარის ჯგუფის ძალებით რამდენიმე ტანკის დახმარებით. ეს იერიში წარმატებით იქნა მოგერიებული თავდაცვაში მყოფ მოწინავე ქვეგანაყოფების ცეცხლით. მაგრამ 20 წუთის შემდეგ ცხადი გახდა, რომ პირველ იერიშს მხოლოდ უნდა ჩამოეშორებინა ჩვენი ქვეგანაყოფების ყურადღება ნამდვილი, დიდი იერიშისაგან, რომელიც მეზობელ უბანზე დაიწყო. ამჯერად იერიშში მონაწილეობდნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის დიდი ძალები. მათ წინ, ფრონტის ციწრო უბანზე მოდიოდა 200-ზე მეტი ტანკი, რომლებსაც ჰაერიდან ეხმარებოდნენ 20-30 მანქანისაგან შემდგარი ბომბდამშენთა ჯგუფები. შეტევაზე გადმოსულ ტანკებს შორის იყო „ვეფხის“ მარკის მძიმე ტანკები.

ბრძოლამ თავიდანვე უაღრესად მწვავე და დაძაბული ხასიათი მიიღო, როგორც მიწაზე, ისე ჰაერშიც. ჩვენი ავიაგამანადგურებლები, რომლებიც გამოწვეულ იქნენ რადიოთი და ბრძოლის რაიონში გუშაგობდნენ, გაბედულად ეკვეთნენ „იუნკერსებსა“ და მათ დამცავ „მესერშმიტებს“. ამავე დროს წინა კიდეზე დადგმული ქვემეხებით და ტანკსაწინააღმდეგო თოფებით ჩვენებმა დაიწყეს მტრის ჯავშნიანი მანქანების განადგურება. მტერს დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე ჩვენი მძიმე არტილერიის გადამლობმა ცეცხლმაც. მიუხედავად ამისა, გერმანელთა ტანკების ნაწილმა ერთ უბანზე შესძლო გამოჭრილიყო ჩვენი სანგრების პირველ ხაზში. მართალია. მათი ცდა — გაეტეხათ აქ გამაგრებული საბჭოთა ქვეითი ჯარი, უშედეგოდ დამთავრდა. მათ ვერ შესძლეს ჭარეთვე თანვე წამოეყვანათ თვითანთი ქვეითი ჯარი. ამის შედეგად, მტრის ტანკები აღმოჩნდნენ მოწყვეტილნი თავიანთ ქვეით ჯარს, რომელმაც დიდი ზარალი ნახა და ვერ შესძლო მოწინავე კიდე გადმოელახა. ამავე დროს „ვეფხებს“ და ძველი ნიმუშის მანქანებს ჩვენმა ქვემეხებმა სიღრმიდან დაუშინეს. გაჩაღდა ბრძოლა არტილერისტებსა და ტანკებს შორის. გერმანელებმა აქ ბევრი ჯავშნიანი მანქანა დაჰკარგეს და უკან დაიხიეს პირვანდელ პოზიციებზე.

მიუხედავად დიდი ზარალისა, რაც თავიანთი შეტევის პირველი წუთიდანვე იგემეს, გერმანელები მაინც აბამენ ბრძოლაში სულ ახალ და ახალ ძალებს. ჩვენი თავდაცვის ამ უბანზე იერიშთან ერთად მოწინააღმდეგემ დიდძალი ტანკები გადმოისროლა მეზობელ უბანზე. გააფთრებული ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა შესძლეს აქ რამდენადმე შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში. ახლა მიმდინარეობს ბრძოლა შემოჭრილი მტერის გასანადგურებლად.

სხვა უბანზეც ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების მნიშვნელოვანი ძალების იერიშები. ბრძოლები გრძელდება.

(„კრასნაია ზვეზდა“, 1943 წ. 6 ივლისი).

ბელგოროდის მიმართულებით

მოსკოვი არმია, 5 ივლისი (ტელეგრაფით ჩვენი კორ.). 5 ივლისს ჩვენი ნაწილები ძლიერი ცეცხლით შეხვდნენ შეტევაზე გადმოსულ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს. მტრის პირველი იერიშში მონაწილეობდნენ ქვეითი ჯარის, ტანკებისა და ავიაციის შედარებით მცირე ძალები. მაგრამ უკვე შემდეგ იერიშზე გერმანელებმა გამოიყენეს დიდი ძალები, როგორც სახმელთო ჯარებისა, ისე ავიაციისა. ბრძოლამ თავიდანვე განსაკუთრებით გააფთრებული ხასიათი მიიღო. ცდილობდა რა თანდათან გაედიდებინა თავისი იერიშების ძალა, მტერს ბრძოლაში გამოჰყავდა ახალი ქვეითი და ჯავშანსატანკო ნაწილები. მიუხედავად დიდი ზარალისა, იგი მოისწრაფოდა წინ და ცდილობდა ჩვენი თავდაცვის გარღვევას.

6 შენაერთის ნაწილები ბრძოლის დასაწყისიდანვე მედგრად იცავენ თავიანთ პოზიციებს და წარმატებით იგერიებენ მტრის იერიშებს. მოწინააღმდეგის ტანკები რამდენჯერმე მიუახლოვდნენ ჩვენი თავდაცვის მოწინავე კიდეს. მაგრამ აქ მათ ძლიერი საartილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლი ხვდებოდა. მტრის ჯავშნიანი მანქანები იძულებული იყვნენ უკანვე გაბრუნებულიყვნენ.

ერთი მაღლობის რაიონში ბრძოლას განსაკუთრებით დაძაბული ხასიათი ჰქონდა. აქ მოქმედებდა გერმანელთა დიდი სატანკო ჯგუფი. მძიმე ჯავშნიანი მანქანები ზედიზედ ეშვილნენებად მოდიოდნენ იერიშზე. ტანკებს მოჰყვებოდნენ ქვეითი ჯარის დიდი ძალები. მაგრამ რარიგ არ ცდილობდა მტერი გაეარღვია აქ ჩვენი თავდაცვა, მან ვერ შესძლო თუნდაც ერთი ნაბიჯით წამოეწია წინ.

ამ უბანზე მედგარი თავდაცვის ერთ-ერთი პირობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ ჩვენმა მეთაურებმა კარგად მოაწყეს თავდაცვაში ცეცხლითი მანევრირება. ამას საჭიროა მით უფრო გაესვა ხაზი, რომ, ჩვენს პოზიციებზე შემოტევისას, მტერი ხშირად სცვლიდა თავის დარტყმათა მიმართულებას და ცდილობდა გამოჭრილიყო ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით. კარგად აწარმოებდნენ რა ცეცხლით მანევრირებას, ჩვენი მეთაურები ყოველთვის ხვდებოდნენ გერმანელებს ყველა თავიანთ საცეცხლე საშუალებათა მძლავრი დარტყმებით.

განსაკუთრებით ისახელეს თავი არტილერისტებმა, სამმტყორცნელებმა და ჯავშნმტვრეველებმა. ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ შეტევაზე გადმოიყვანა რამდენიმე ათეული ტანკი. ვიდრე ტანკები შორს იმყოფებოდნენ, მათ უშენდნენ ცეცხლს ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილი ქვემეხები და ნაღმსატყორცნები. ხოლო როდესაც ტანკები ახლო მოვიდნენ თავდაცვის მოწინავე კიდესთან, მათ თავს დაატყდა ისეთი უდიდესი ძალის ცეცხლი, რომ მოწინააღმდეგემ რამდენიმე წუთის განმავლობაში ათზე მეტი ტანკი დაჰკარგა და სწრაფად იბრუნა პირი, განსაკუთრებით წარმატებითი იყო აქ ჩვენი ტანკსაწინააღმდეგო ზარაბზნებისა და ჯავშნმტვრეველების სოფლანგო ცეცხლი.

დღის განმავლობაში გერმანელებმა ზედიზედ განიმეორეს რამდენიმე გააფთრებული იერიში. მათ განსაკუთრებით დიდი ზარალი ნახეს. სულ მცირე, მიახლოებითი გამოანგარიშებით, ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს რამდენიმე ათასი ჰიტლერელი, 100-ზე მეტი ტანკი და აგრეთვე დიდძალი საartილერიო ქვემეხები და ნაღმსატყორცნები.

მტრის ყველა იერიშს ავიაციის დიდი ძალები ეხმარებოდნენ. გერმანელები მიმართავდნენ ჰაერიდან დარტყმებს მთელი დღის განმავლობაში. მაგრამ მტრის ავიაციას, ისევე როგორც მიწაზე მოქმედ ჯარებს, წარმატება არა ჰქონია. იერიშები მტერს ძვირად დაუჯდა. აქ მან რამდენიმე ათეული თვითმფრინავი დაჰკარგა.

(„კრასნაია ზვეზდა“, 1943 წ. 6 ივლისი).

ნერილი, რომელიც შურისგებისაკენ მოუწოდებს

მოსკოვი არმია, 4 ივლისი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). 6 ნაწილის წითელარმიელმა ს. ერემინმა კურსკის ოლქის სოფელ მიხაილოვსკოედან მშობლების წერილი მიიღო. გერმანელი დამპყრობნი წელიწადსა და ხუთ თვეს თარეშობდნენ ამ სოფელში.

„იმის მოგონებაც კი გეზარავს, თუ როგორ ვცხოვრობდით ეს წელიწადი და ხუთი თვე.—სწერენ ერემინს დედა და დები.—ყოველდღე კვნესა იდგა და ღვარად დიოდა სისხლი. ჩვენ გარშემო ყველა სოფელი სასაფლაოდ იქცა.

ჯერ მტარვალებმა დაბა ხოლსტინკა აიწოკეს. მთელი ხალხი კოლმეურნეობის ფარდულში შერეკეს და ცეცხლი წაუკიდეს, ხოლო ჭიშკრის პირდაპირ ტყვიამფრქვევი დადგეს. ხალხი ცეცხლს გაურბოდა ფარდულიდან, მათ კი ტყვიამფრქვევით ხვრეტდნენ. ასე ერთ გროვად დაჰყარეს ყველანი.

ცოცხალი არავინ გადარჩენილა დაბაში „ღუბში“, „ზვეზდასა“ და „პოგორელში“, ფაშისტმა ქვეწარმავლებმა დახვრიტეს უკლებლივ ყველანი, მოზრდილნი და ბავშვები, ხოლო დაბები გადაწვეს.

სოფელ ეერატენინოში გერმანელებმა ჯერ მორეკეს ყველა მამაკაცი, შემდეგ ახალგაზრდობა და ყველანი დახვრიტეს. დაწვეს აგრეთვე ბუგრი და კომბარი.

მთელი ჩვენი მიხაილოვსკის რაიონი გადამწვარია, ხალხიც თითქმის სულ გაჟლეტილა. ჩვენ ყველანი—მოხუცნი და ახალგაზრდაც. გერმანელებმა მოედანზე შეგვყარეს. ირგვლივ ტყვიამფრქვევები დადგეს და ჩვენ ყველას გვიბრძანეს დაიჩოქეთო, შემდეგ სახრჩობელა აღმართეს და სათითოოდ ახრჩობდნენ ხალხს. ჩვენ ყველანი დაჩოქებული ვიყავით და ჩვენს ჯერს ველოდით. გერმანელებმა რამდენიმე კაცი ჩამოახრჩეს, დანარჩენნი გაჰფანტეს.

სწორედ ჩვენი განთავისუფლების წინ მათ შეჰყარეს ყველა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი და გერმანიაში გარეკას უპირებდნენ, მაგრამ ამ დროს ჩვენებმა მოგვისწრეს და გაგვთავისუფლეს.

სიტყვები არა გვყოფნის იმ საშინელების ასაწერად, რაც ჩვენ გამოვიარეთ.

გთხოვთ, ძვირფასო სეროიკა, ურტყი გერმანელებს, შური იძიე მათზე ჩვენი ხალხის წამებისა და სისხლისათვის, ურტყი დაუნდობლად!“.

მეზობლმა ერემინმა თავის ამხანაგებს წაუკითხა წერილი. მათ ფიცი დასდეს, რომ დაუნდობლად იძიებენ შურს მტერზე ასობით უდანაშაულო ადამიანის წამებისა და დაღუპვისათვის.

მაღაღხარისხოვნად დავამუშაოთ ნათესები, უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი!

სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

გორი („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ნათესების დამუშავების პარალელურად წარმატებით მიმდინარეობს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისათვის მზადება. რაიონში მარცვლეულ კულტურათა მოსავალი ასაღებია 20.609 ჰექტარზე. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ინვენტარის შეკეთება, ბეღლების დეზინფექცია, კალოების მომზადება, ნაკვეთებთან მისასვლელი გზებისა და ხიდ-ბოგირების წესრიგში მოყვანა და სხვ.

მოსავლის აღებისათვის გაცხოველებით ემზადება ქვემო ნიქოზის კოლმეურნეობა „განთიადი“ (თავმჯდომარე ვ. სამაგლიშვილი). ამ კოლმეურნეობაში დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეები დილიდან საღამომდე დაუღალავად შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებზე. კოლმეურნეობამ დროულად შეაკეთა 14 ურემი, 30 კევრი, შეიძინა 400 ტომარა, სრულ წესრიგში მოიყვანა ფოცხები, ფიწლები, ცელები. მცელავებად გამოყოფილი არიან ამ საქმის მცოდნე ადამიანები, მათ შორის ქალებიც. თავთავიანი მარცვლეული კულტურები 155 ჰექტარზეა ასაღები. კოლმეურნეობას ნაკისრი აქვს მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 7 დღეში. ნათესების მოვლა-დამუშავებაზე სტახანოვურად მუშაობენ და მოსავლის აღებისათვის ენერგიულად ემზადებიან შაქრო ჭავჭავაძის და ალექსი ზუბაშვილის ბრიგადები. ეს ბრიგადები ყოველმხრივ მზად არიან უხვი მოსავლის ასაღებად.

წარმატებით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება და მოსავლის აღებისათვის მზადება ქობულეთის ს. ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ფუხაშვილი). კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა სიმინდის პირველი თოხნა 134 ჰექტარზე, ხოლო მეორე თოხნა ჩატარებული აქვს 20 ჰექტარზე. კარგი მოვლილია შაქრის ჭარხალი და ბოსტნეული კულტურები. კოლმეურნეობას გამოყოფილი ჰყავს 21 მცელავი, მათ შორის ხუთი ქალი. მომარაგებულია ცელები, ფოცხები, კევრები, ურმები, შეძენილია 200 ტომარა, მთავრდება საწყობის რემონტი.

ბარაქიანი მოსავლის ასაღებად ასევე ენერგიულად ემზადებიან ოხერას, ხელეთუბნის, მექვაბიანთუბნის, ქვემო ხვითის, ხიდისთავის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები. ქვემო ხვითის კოლმეურნეობას მოსავალი ასაღები აქვს 335 ჰექტარზე. ამ სეროიზული სამუშაოს უმოკლეს დროში ჩატარებისათვის კოლმეურნეობა ყოველმხრივ მზად არის. მომზადებულია ურმები, ტომრები, ფიწლები, ცელები, კევრები. მცელავებად შერჩეულნი არიან რეგორიკ კაცები, ისე ქალები.

მაგრამ რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა ჩამორჩა ნათესების დამუშავებაში და მოსავლის აღებისათვის მზადებაში. ქვემო სკრის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ტოგონიძე) ნათესების დამუშავება სამარცხვინოდ ჩამორჩა. არც მოსავლის აღებისათვის არიან მზად. ასევე ითქმის პატარა ატენის კოლმეურნეობაზე (თავმჯდომარე ლოთიშვილი), სადაც მოსავლის აღებისათვის მზადება შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ლოთიშვილმა არც კი იცის, რამდენი ცელი და ფიწალი სჭირდება მოსავლის ასაღებად. გამოყოფილი არ არიან მცელავები, შედგენილი არ არის მოსავლის აღების გეგმა.

მოსავლის აღებისათვის სუსტად ემზადებიან ჯარიაშენის, ქეციხურის, ქიწნისის, მელვრეკისის, ტირძნისის და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობა. მოსავლის აღებისათვის სუსტად ემზადებიან რაიონის მტს-ები. გორის, ახალსოფლისა და შინდისის მტს-ებს 3 იკლისისათვის დამთავრებული არ ჰქონდათ კომბაინებისა და სალეწი მანქანების რემონტი.

დადაუდებელი ამოცანაა—გადაჭრით გავაძლიეროთ მოსავლის აღებისათვის მზადების ტემპები.

უ. ჩუბინიძე

გავაუმჯობესოთ ციგრუსოვანთა მოვლა

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა ქრბულეთელთა მოწოდებასთან დაკავშირებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას აიღეს ვალდებულება საუკეთესოდ მოუარონ ციტრუსოვანთა ნარგავებს და მიაღწიონ ამ კულტურის უხვ მოსავალს.

ბევრი კოლმეურნეობა ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს. სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ჯაბუა) კარგად უვლიან ციტრუსოვანთა ხეებს. კოლმეურნეობის მეკამეჩე ბრიგადამ (ბრიგადირი მ. კოსტავა) სანიმუშოდ მოუარა ციტრუსების 5.340 ძირ ხეს. ამ წარმატებებისათვის ბრიგადას კოლმეურნეობის გამგეობამ გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა. ნატანებელი კოლმეურნეები წელს სახელმწიფოს აბარებენ 10 მილიონ ცალ ციტრუსს ნაყოფს, ესე იგი 3 მილიონი ცალით მეტს, ვიდრე შარშან ჩააბარეს.

ციტრუსოვანთა ხეებს საუკეთესოდ უვლიან აგრეთვე სოფ. შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსან კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე მ. ორაგველიძე). აქ კარგი მუშაობის შედეგად წელს ციტრუსების უხვ მოსავალს ელიან.

რაიონის კოლმეურნეობათა უმეტესობაში უკვე დამთავრდა ციტრუსოვანთა ნარგავების თოხნა. ამ საქმეში მოწინავეთა რიგებში არიან მერიის კიროვის სახელობის (თავმჯდომარე ტ. მიქატაძე), ხვარბეთის მოლოტოვის სახელობის (თავმჯდომარე ვ. ყალიჩავა) და მელექედურის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე ა. დოლიძე) კოლმეურნეობები.

მაგრამ ციტრუსოვანთა მოვლის მხრივ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არის ჩამორჩენა. ჭანიეთის კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ა. ურუშაძე) რაიმეწყვანს ამ რამოდენიმე ხნის წინათ აცნობა, რომ უკვე დაამთავრა ციტრუსოვანთა ფართობების თოხნა, ფაქტიურად კი კოლმეურნეობის პლანტაციებში წელს გაშენებული ნარგავები მოუვლელია.

ციტრუსოვანთა პლანტაციების გათოხნის გეგმები არ შეუსრულებიათ აგრეთვე თხინვალის, ნაღობილევის, მშვიდობაურის, შემოქმედის, მთისპირის და ვაკიჯვრის კოლმეურნეობებს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა საბრძოლო ამოცანები დაგვიხატა ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლის საქმეში. შეეგასრულოთ ვალდებულებანი ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადაში.

ლ. ლოლაძე

გავაძლიეროთ ნათესების დამუშავების ჯემპები

წულუკიძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). წულუკიძის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ამხ. პ. მაისურაძე) დროზე და მაღალხარისხოვნად დაამთავრა სიმინდის პირველი თოხნა. ორი წითელარმიელის მამა, 65 წლის პავლე კიკნაძე მარგველის ყოველდღიურ ნორმას 150-160 პროცენტით ასრულებდა; ამ წელს გამომუშავა 135 შრომადღე. წარმატებით მუშაობენ კოლმეურნეები ლ. მაისურაძე, მარო ნესოშვილი, შურა ხითარიშვილი, ანიჩკა ახარაშვილი, ქეთო მამულაშვილი და სხვ.

სათოხნი კულტურების პირველი მარგვლა ვადაზე ჩატარდა სოფ. გორდის ვორონშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. არტ. კალანდარიშვილი). კოლმეურნეობა „წინსვლაში“ (თავმჯდომარე ლ. გოდერიძე) გამარგლეს 175 ჰექტარი (ტემპის ზევით—5 ჰექტარი). აღნიშნულ კოლმეურნეობაში უკვე დაიწყეს სიმინდის მეორე თოხნა. სწრაფი ტემპით ამუშავებენ ნათესებს სოფელ კინჩხის კოლმეურნეობა „დაჩკერელში“, ბერიას სახელობის, სოფ. დანარ-ეუტარის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობებში.

მაგრამ რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ყველაფერი რიგზე როდია ნათესების დამუშავების მხრივ.

სოფ. მათხოჯის დიმიტროვის სახელობის და სოფ. კონტუათის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში (თავმჯდომარეები ს. ბარამაძე და ივ. მუშკუდიანი) ნათესებს არადამაკმაყოფილებლად ამუშავებენ. დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადამ 12 ჰექტარზე მწვრილივთა შორის კულტივაცია და მარგვლა უხარისხოდ ჩაატარა. ამ ბრიგადის ბრიგადირი იოსებ ბარამაძე არ ზრუნავს ხარისხის დაცვაზე. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადამ, რომელსაც ლ. ჩარგალეშვილი ხელმძღვანელობს, უხარისხოდ გათოხნა სიმინდი 6 ჰექტარზე. კოლმეურნეები ვ. კიკალიშვილი, ნ. რუხაძე, ნ. რატიანი თავს არიდებენ საკოლმეურნეო სამუშაოს.

სოფ. კუხის შმიდტის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვალ. კაკაბაძე), სოფ. გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. შავლაყაძე) აჭიანურებენ სიმინდის ნათესის დამუშავებას. ასევე უყურადღებობას იჩენენ ქალაქ წულუკიძის კალინინის სახელობის, სოფ. გუბის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

კოლმეურნეობათა გამგეობებმა და რაიმეწყვანმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ნათესების დამუშავებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კ. ცაცუა

მზად არიან მოსავლის აღებისათვის

თელავი („კომუნისტის“ საკ. კორ.). თელავის მტს-მა ვადაზე დაამთავრა კომბაინების რემონტი. 19 კომბაინი უკვე ფართობებთან არის მიყვანილი და ელოდება ყანის შემოსვლას. რემონტის საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომბაინერებმა ი. ჭრელაშვილმა, დ. მამალაშვილმა, მ. გიგოლაშვილმა, ლ. ჩხეიძემ, რომლებიც დღიურ დავალებებს 250-300 პროცენტით ასრულებდნენ. ასევე თავი ისახელეს კარგი მუშაობით შემდეგმა ოსტატებმა: ბ. ბაღდასარიანმა, ბ. ბაბალიანმა, ბ. ბაბალიანმა, ბ. ბაბალ